

**სს მეტრო ინტურისტ ბათუმი**

**ფინანსური ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო  
წლისთვის

## სარჩევი:

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... | 3 |
|---------------------------------------|---|

### ფინანსური ანგარიშგება

|                                                  |   |
|--------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....          | 6 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....               | 7 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... | 8 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....               | 9 |

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                  |    |
|------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                       | 10 |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                    | 10 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... | 12 |
| 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა .....               | 13 |
| 5. საინვესტიციო ქონება .....                                     | 16 |
| 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                              | 17 |
| 7. გაცემული სესხები.....                                         | 18 |
| 8. ფული და ფულის ეკვივლენტები .....                              | 18 |
| 9. სააქციო კაპიტალი.....                                         | 18 |
| 10. მიღებული სესხები .....                                       | 18 |
| 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                          | 19 |
| 12. ანარიცხები .....                                             | 19 |
| 13. საიჯარო შემოსავალი .....                                     | 20 |
| 14. სხვა შემოსავალი .....                                        | 20 |
| 15. სხვა საოპერაციო ხარჯები .....                                | 21 |
| 16. არასაოპერაციო შემოსავალი.....                                | 21 |
| 17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                     | 21 |
| 18. პირობითი ვალდებულებები .....                                 | 22 |
| 19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....               | 23 |
| 20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....           | 24 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### სს მეტრო ინტურისტ ბათუმის მფლობელებსა და ხელმძღვანელებს

#### მოსაზრება

ჩავატარეთ სს მეტრო ინტურისტ ბათუმის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

#### აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

| აუდიტის ძირითადი საკითხები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 | შესაბამისი აუდიტორული პროცედურები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>საინვესტიციო ქონების შეფასება</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| კომპანია საინვესტიციო ქონებისთვის იყენებს რეალური ღირებულების მოდელს. კომპანიამ საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად დაიჭირა პროფესიონალი შემფასებელი. უძრავი ქონების შეფასებას ახასიათებს თანდაყოლილი განუსაზღვრელობა და ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს. ამასთან, კომპანიის უძრავი ქონება მდებარეობს საქართველოში, სადაც მეორადი ბაზარი შედარებით არალიკვიდურია, რის გამოც იზრდება აღნიშნულ შეფასებებში მსჯელობის გამოყენების აუცილებლობა. ეს შეფასებები, მათი დიდი მნიშვნელობისა და სუბიექტური ხასიათის გამო აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხია. | ჩვენ ჩავრთეთ ქონების შეფასების ექსპერტი რათა შეგვემოწმებინა კომპანიის უძრავი ქონების შეფასება. სპეციალისტებმა შეაფასეს კომპანიის მიერ დაქირავებული გარე შემფასებლების კომპეტენტურობა და ობიექტურობა, განიხილეს და გააანალიზეს გამოყენებული დაშვებები და შეამოწმეს გარე შემფასებლების მიერ წარმოდგენილი მონაცემები.<br><br>კომპანიის შესახებ ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციისა და დაკვირვებად საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენ მიმოვიხილეთ კომპანიის მიერ დაქირავებული შემფასებლის მიერ მომზადებული შეფასების დასკვნა.<br><br>განვიხილეთ, რამდენადაა აღიარებული შეფასების შედეგები და კომპანიის განმარტებები საინვესტიციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებით. |
| იხილეთ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მე-3, მე-5 და მე-20 შენიშვნა.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |

## **ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა**

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაშია განმარტებული, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიასთან დაკავშირებულმა სახელმწიფო შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის შემოსავალზე, ოპერაციებსა და ფულად ნაკადებზე. ხელმძღვანელობის სამოქმედო გეგმა, ამ გარემოების შესახებ, წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში. ამ გარემოების გამო ვლინდება არსებითი განუსაზღვრელობა შეძლებს თუ არა კომპანია განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

## **მნიშვნელოვან გარემოებათა აზრადი**

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მე-17 შენიშვნაზე, სადაც მოცემულია, რომ კომპანია აგენერირებს მნიშვნელოვან საოპერაციო და სხვა შემოსავალს დაკავშირებული მხარეებისგან და აქვს მათთან მნიშვნელოვანი ნაშთები. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

## **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას,

ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 ოქტომბერი 2020

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### სს მეტრო ინტურისტ ბათუმის მფლობელებსა და ხელმძღვანელებს

#### მოსაზრება

ჩავატარეთ სს მეტრო ინტურისტ ბათუმის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

#### აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

| აუდიტის ძირითადი საკითხები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   | შესაბამისი აუდიტორული პროცედურები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>საინვესტიციო ქონების შეფასება</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| კომპანია საინვესტიციო ქონებისთვის იყენებს რეალური ღირებულების მოდელს. კომპანიამ საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად დაიჭირავა პროფესიონალი შემფასებელი. უძრავი ქონების შეფასებას ახასიათებს თანდაყოლილი განუსაზღვრელობა და ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს. ამასთან, კომპანიის უძრავი ქონება მდებარეობს საქართველოში, სადაც მეორადი ბაზარი შედარებით არალიკვიდურია, რის გამოც იზრდება აღნიშნულ შეფასებებში მსჯელობის გამოყენების აუცილებლობა. ეს შეფასებები, მათი დიდი მნიშვნელობისა და სუბიექტური ხასიათის გამო აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხია. | ჩვენ ჩავრთეთ ქონების შეფასების ექსპერტი რათა შეგვემოწმებინა კომპანიის უძრავი ქონების შეფასება. სპეციალისტებმა შეაფასეს კომპანიის მიერ დაქირავებული გარე შემფასებლების კომპეტენტურობა და ობიექტურობა, განიხილეს და გააანალიზეს გამოყენებული დაშვებები და შეამოწმეს გარე შემფასებლების მიერ წარმოდგენილი მონაცემები.<br><br>კომპანიის შესახებ ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციისა და დაკვირვებად საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენ მიმოვიხილეთ კომპანიის მიერ დაქირავებული შემფასებლის მიერ მომზადებული შეფასების დასკვნა.<br><br>განვიხილეთ, რამდენადაა აღიარებული შეფასების შედეგები და კომპანიის განმარტებები საინვესტიციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებით. |
| იხილეთ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მე-3, მე-5 და მე-20 შენიშვნა.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |

## **ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა**

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაშია განმარტებული, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიასთან დაკავშირებულმა სახელმწიფო შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის შემოსავალზე, ოპერაციებსა და ფულად ნაკადებზე. ხელმძღვანელობის სამოქმედო გეგმა, ამ გარემოების შესახებ, წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში. ამ გარემოების გამო ვლინდება არსებითი განუსაზღვრელობა შეძლებს თუ არა კომპანია განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

## **მნიშვნელოვან გარემოებათა აზრადი**

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მე-17 შენიშვნაზე, სადაც მოცემულია, რომ კომპანია აგენერირებს მნიშვნელოვან საოპერაციო და სხვა შემოსავალს დაკავშირებული მხარეებისგან და აქვს მათთან მნიშვნელოვანი ნაშთები. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

## **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას,

ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718)



შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 ოქტომბერი 2020

სს მეტრო ინტურისტ ბათუმი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                      | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2019 | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018 |
|--------------------------------------|----------|----------------------|----------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                      |          |                      |                      |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |          |                      |                      |                   |
| საინვესტიციო ქონება                  | 5        | 53,052,450           | 41,754,960           | 45,881,940        |
| ძირითადი საშუალებები                 |          | 1,130                | 35,968               | 45,000            |
|                                      |          | <b>53,053,580</b>    | <b>41,790,928</b>    | <b>45,926,940</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>         |          |                      |                      |                   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 6        | 794,388              | 579,122              | 278,670           |
| გაცემული სესხები                     | 7        | 1,899,756            | -                    | -                 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები          | 8        | 12,067               | 6,862                | 66,033            |
|                                      |          | <b>2,706,211</b>     | <b>585,984</b>       | <b>344,703</b>    |
| <b>სულ აქტივები</b>                  |          | <b>55,759,791</b>    | <b>42,376,912</b>    | <b>46,271,643</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          |                      |                      |                   |
| <b>კაპიტალი</b>                      |          |                      |                      |                   |
| სააქციო კაპიტალი                     | 9        | 20,000,000           | 20,000,000           | 20,000,000        |
| გაუნაწილებელი მოგება                 |          | 33,956,152           | 18,454,825           | 18,308,829        |
|                                      |          | <b>53,956,152</b>    | <b>38,454,825</b>    | <b>38,308,829</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>    |          |                      |                      |                   |
| მიღებული სესხები                     | 10       | -                    | 2,451,399            | 4,764,986         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 11       | 187,582              | 83,422               | 1,913,233         |
| საგადასახადო ვალდებულებები           |          | 24,996               | 10,334               | 109,814           |
| ანარიცხები                           | 12       | 1,591,061            | 1,376,932            | 1,174,781         |
|                                      |          | <b>1,803,639</b>     | <b>3,922,087</b>     | <b>7,962,814</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>55,759,791</b>    | <b>42,376,912</b>    | <b>46,271,643</b> |

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2020 წლის 27 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

\_\_\_\_\_

ესმა ზანდარაძე

დირექტორი

\_\_\_\_\_

მალექ საღლამი

სს მეტრო ინტურისტ ბათუმი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                      | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2019 | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018 |
|--------------------------------------|----------|----------------------|----------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                      |          |                      |                      |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |          |                      |                      |                   |
| საინვესტიციო ქონება                  | 5        | 53,052,450           | 41,754,960           | 45,881,940        |
| ძირითადი საშუალებები                 |          | 1,130                | 35,968               | 45,000            |
|                                      |          | <u>53,053,580</u>    | <u>41,790,928</u>    | <u>45,926,940</u> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>         |          |                      |                      |                   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 6        | 794,388              | 579,122              | 278,670           |
| გაცემული სესხები                     | 7        | 1,899,756            | -                    | -                 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები          | 8        | 12,067               | 6,862                | 66,033            |
|                                      |          | <u>2,706,211</u>     | <u>585,984</u>       | <u>344,703</u>    |
| <b>სულ აქტივები</b>                  |          | <b>55,759,791</b>    | <b>42,376,912</b>    | <b>46,271,643</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          |                      |                      |                   |
| <b>კაპიტალი</b>                      |          |                      |                      |                   |
| სააქციო კაპიტალი                     | 9        | 20,000,000           | 20,000,000           | 20,000,000        |
| გაუნაწილებელი მოგება                 |          | 33,956,152           | 18,454,825           | 18,308,829        |
|                                      |          | <u>53,956,152</u>    | <u>38,454,825</u>    | <u>38,308,829</u> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>    |          |                      |                      |                   |
| მიღებული სესხები                     | 10       | -                    | 2,451,399            | 4,764,986         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 11       | 187,582              | 83,422               | 1,913,233         |
| საგადასახადო ვალდებულებები           |          | 24,996               | 10,334               | 109,814           |
| ანარიცხები                           | 12       | 1,591,061            | 1,376,932            | 1,174,781         |
|                                      |          | <u>1,803,639</u>     | <u>3,922,087</u>     | <u>7,962,814</u>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>55,759,791</b>    | <b>42,376,912</b>    | <b>46,271,643</b> |

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2020 წლის 27 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ესმა ზანდარაძე

დირექტორი



მალექ სალამი

10-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სს მეტრო ინტურისტ ბათუმი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის  
(ლარში)

|                                           | შენიშვნა | 2019              | 2018           |
|-------------------------------------------|----------|-------------------|----------------|
| საიჯარო შემოსავალი                        | 13       | 4,896,056         | 4,700,378      |
| სხვა შემოსავალი                           | 14       | 44,776            | 168,500        |
| რეალური ღირებულების ცვლილება              | 5        | 11,182,878        | (4,308,837)    |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                   | 15       | (277,865)         | (284,074)      |
| ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯები          | 12       | (214,129)         | (202,151)      |
| საეჭვო ვალების რეზერვის (ხარჯი)/ აღდგენა  | 6        | (62,308)          | 132,781        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                  |          | <b>15,569,408</b> | <b>206,597</b> |
| არასაოპერაციო შემოსავალი                  | 16       | -                 | 148,140        |
| საპროცენტო შემოსავალი                     |          | 47,075            | -              |
| საპროცენტო ხარჯები                        |          | (115,441)         | (333,793)      |
| საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება, ნეტი |          | 285               | 125,052        |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>           |          | <b>15,501,327</b> | <b>145,996</b> |
| საბაზისო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე |          | 0.78              | 0.01           |

სს მეტრო ინტურისტ ბათუმი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

|                          | სააქციო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი      |
|--------------------------|---------------------|-------------------------|-------------------|
| <b>1 იანვარი 2018</b>    | <b>20,000,000</b>   | <b>18,308,829</b>       | <b>38,308,829</b> |
| მთლიანი სრული შემოსავალი | -                   | 145,996                 | 145,996           |
| <b>31 დეკემბერი 2018</b> | <b>20,000,000</b>   | <b>18,454,825</b>       | <b>38,454,825</b> |
| მთლიანი სრული შემოსავალი | -                   | 15,501,327              | 15,501,327        |
| <b>31 დეკემბერი 2019</b> | <b>20,000,000</b>   | <b>33,956,152</b>       | <b>53,956,152</b> |

სს მეტრო ინტურისტ ბათუმი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის  
(ლარი)

|                                                                                                               | შენიშვნა | 2019               | 2018               |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                                                              |          |                    |                    |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                                                                     |          | <b>15,501,327</b>  | <b>145,996</b>     |
| <b>კორექტირება:</b>                                                                                           |          |                    |                    |
| ცვეთა                                                                                                         |          | 5,337              | 9,032              |
| მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან                                                                         |          | (9,939)            | -                  |
| საექვო ვალების რეზერვის (ხარჯი)/ აღდგენა                                                                      | 6        | 62,308             | (132,781)          |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                         |          | (47,075)           | -                  |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                              |          | 115,441            | 333,793            |
| რეალური ღირებულების ცვლილებით                                                                                 |          |                    |                    |
| გამოწვეული (მოგება)/ზარალი                                                                                    | 5        | (11,182,878)       | 4,308,837          |
| ანარიცხების ზრდა                                                                                              | 12       | 214,129            | 202,151            |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, ნეტი                                                                      |          | (285)              | (125,052)          |
| <b>ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე</b> |          | <b>4,658,365</b>   | <b>4,741,976</b>   |
| ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:                                                                                 |          |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა                                                                              |          | (172,838)          | (166,779)          |
| საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)                                                                  |          | 14,662             | (99,480)           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)                                                               |          | 104,160            | (1,480,914)        |
| <b>ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე</b>                        |          | <b>4,604,349</b>   | <b>2,994,803</b>   |
| გადახდილი პროცენტი                                                                                            |          | (668,125)          | -                  |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                                        |          | <b>3,936,224</b>   | <b>2,994,803</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>                                                            |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                                                                                 |          | 39,439             | -                  |
| საინვესტიციო ქონების შესყიდვა                                                                                 |          | (114,612)          | (181,857)          |
| გაცემული სესხების ზრდა                                                                                        |          | (2,014,267)        | -                  |
| გაცემული სესხების დაფარვა                                                                                     |          | 142,397            | -                  |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                            |          | <b>(1,947,043)</b> | <b>(181,857)</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                                                |          |                    |                    |
| მიღებული სესხების ზრდა                                                                                        | 10       | -                  | 1,011,150          |
| მიღებული სესხების დაფარვა                                                                                     | 10       | (1,983,943)        | (3,882,636)        |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საფინანსო საქმიანობიდან</b>                                               |          | <b>(1,983,943)</b> | <b>(2,871,486)</b> |
| <b>ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)</b>                                                  |          | <b>5,238</b>       | <b>(58,540)</b>    |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>                                                            | 8        | <b>6,862</b>       | <b>66,033</b>      |
| გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში                                                |          | (33)               | (631)              |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                                                                 | 8        | <b>12,067</b>      | <b>6,862</b>       |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

სს მეტრო ინტურისტ ბათუმი დაარსდა 2012 წლის 24 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავდაპირველად როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2017 წელს დაკავშირებულ მხარესთან შერწყმის შემდეგ კომპანიამ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და შპს-ს ნაცვლად ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული სასტუმროს - „ინტურისტ პალასის“ გაქირავება შენობაში არსებულ სხვა დაწესებულებებთან ერთად (კაზინო, რესტორანი, ღამის კლუბი, სხვა).

კომპანია საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინსტრუმენტების გამოშვების მიზნით მარეგულირებელ ორგანიზაციაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესში იმყოფება.

კომპანიის იურიდიული მისამართია გოგოლის ქ. #1, ბათუმი, საქართველო.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელი იყო სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია. კომპანიის დირექტორები არიან ესმა ზანდარაძე და მელექ საღლამი.

## 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. 2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას და ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია კორექტირება საწყის ნაშთებში.

ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ მიხედვით მოცემული შედავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-20 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

## შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონებისა, რომლის აღრიცხვისთვის გამოყენებული იქნა რეალური ღირებულების მოდელი.

## 2. შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

### საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ საქმიანობა საქართველოში. როგორც მე-19 შენიშვნაშია განმარტებული, კორონავირუსმა გავლენა მოახდინა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე და ეფექტურობაზე, და შესაძლოა გამოიწვიოს ზარალი 2020 წელს. ხელმძღვანელობამ ცვლილებები შეიტანა საიჯარო კონტრაქტში, რათა მიეღო დაგეგმილი საიჯარო შემოსავალი 2020 წელს. შედეგად, ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

### ახალ ფასს-ებზე გადასვლა

ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და

შესწორებები:

კომპანიამ ფასს 15 - “ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან “, ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ფასს 16 - „იჯარა“ (ვადამდელი გამოყენება) დანერგა გადასვლის თარიღისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან.

სხვა ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები რომლებიც გამოაქვეყნა სტანდარტების საბჭომ და რომლებიც პირველად მოხვდება შემდგომ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, კომპანიაზე ვერ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას, იქიდან გამომდინარე, რომ არცერთი არ არის რელევანტური კომპანიის საქმიანობასთან მიმართებაში ან მოთხოვნილი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია კომპანიის ახლანდელ სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა ახალი სტანდარტების შესაძლო გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე და დაასკვნა, რომ ამ და IASB-ის მიერ გამოცემულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ეფექტური, მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება.** კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით სამი წლის განმავლობაში.

**ანარიცხები.** კომპანია აღიარებს ანარიცხებს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მიმდინარე ვალდებულება, წარმოშობილი წარსული მოვლენების შედეგად, სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური რესურსების გასვლა და შესაძლებელია ვალდებულების საიმედო შეფასება. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში შესაძლოა გაიშიფროს პირობითი ვალდებულება. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებით გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღნიშნული სააღრიცხვო პრინციპების გამოყენება სასამართლო დავებთან დაკავშირებით მოითხოვს, რომ კომპანიის მენეჯმენტმა გააკეთოს შეფასებები სხვადასხვა ფაქტორები და სამართლებრივი საკითხების შესახებ, რომელთაც ვერ აკონტროლებს.

**რეალური ღირებულებით შეფასება.** კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება.

არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს როგორც ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს, ისე ბაზარზე დაუკვირვებლად მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
  - დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
  - დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე
- რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს საინვესტიციო ქონებას (შენიშვნა 5).

#### 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდობის რისკი
- საბაზრო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი
  - სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

#### ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს კომპანია და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- გაცემული სესხები
- ფული და ფულის ეკვივალენტები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

#### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოუშვება, მაშინ როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები.

მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება მომხმარებლისათვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებულია, განმარტებულია მე-6 შენიშვნაში.

#### 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

##### ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლიკვიდობა იყო 1 წლამდე.

##### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

##### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ცვალებად-პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ რისკს, რომელიც წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ გააჩნია პროცენტის მქონე ფინანსური ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის გაცემული აქვს სესხები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის რისკი შემცირებულია მისაღებ დონემდე.

##### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

|                                | ლარი             | აშშ დოლარი     | სულ              |
|--------------------------------|------------------|----------------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                  |                |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 3,461            | 8,606          | 12,067           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 138,475          | 655,913        | 794,388          |
| გაცემული სესხები               | 1,899,756        | -              | 1,899,756        |
|                                | <b>2,041,692</b> | <b>664,519</b> | <b>2,706,211</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                  |                |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 187,582          | -              | 187,582          |
|                                | <b>1,854,110</b> | <b>664,519</b> | <b>2,518,629</b> |

ღია საბალანსო პოზიცია

#### 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

|                                | ლარი               | აშშ დოლარი       | სულ                |
|--------------------------------|--------------------|------------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                    |                  |                    |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 6,833              | 29               | 6,862              |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 89,552             | 489,570          | 579,122            |
|                                | <b>96,385</b>      | <b>489,599</b>   | <b>585,984</b>     |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                    |                  |                    |
| მიღებული სესხები               | 1,391,836          | 1,059,563        | 2,451,399          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 83,422             | -                | 83,422             |
|                                | <b>1,475,258</b>   | <b>1,059,563</b> | <b>2,534,821</b>   |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>   | <b>(1,378,873)</b> | <b>(569,964)</b> | <b>(1,948,837)</b> |

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

|                                | ლარი             | აშშ დოლარი         | სულ                |
|--------------------------------|------------------|--------------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                  |                    |                    |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 64,440           | 1,593              | 66,033             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 8,328            | 270,342            | 278,670            |
|                                | <b>72,768</b>    | <b>271,935</b>     | <b>344,703</b>     |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                  |                    |                    |
| მიღებული სესხები               | 61,717           | 4,703,269          | 4,764,986          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 374,511          | 1,538,722          | 1,913,233          |
|                                | <b>436,228</b>   | <b>6,241,991</b>   | <b>6,678,219</b>   |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>   | <b>(363,460)</b> | <b>(5,970,056)</b> | <b>(6,333,516)</b> |

#### სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

|                                     | 31 დეკემბერი 2019 |           | 31 დეკემბერი 2018 |         | 1 იანვარი 2018 |           |
|-------------------------------------|-------------------|-----------|-------------------|---------|----------------|-----------|
|                                     | +20%              | -20%      | +20%              | -20%    | +20%           | -20%      |
| <b>სავალუტო რისკის მგრძნობელობა</b> |                   |           |                   |         |                |           |
| აშშ დოლარის ეფექტი                  | 132,904           | (132,904) | (113,993)         | 113,993 | (1,194,011)    | 1,194,011 |
| მოგება/(ზარალი)                     |                   |           |                   |         |                |           |

#### რეალური ღირებულების იერარქია

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის 1-ლი დონის მიხედვით, სესხები და საინვესტიციო ქონება მე-2 დონის მიხედვით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება დადგინდა მე-3 დონის მიხედვით.

#### კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

## 5. საინვესტიციო ქონება

### (i) საბალანსო ღირებულების რეკონსილაცია

|                                                                                                          | 2019       | 2018        |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|-------------|
| 1 იანვარი                                                                                                | 41,754,960 | 45,881,940  |
| შემოსვლა                                                                                                 | 114,612    | 181,857     |
| რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება<br>(ზარალი) აღიარებული მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში | 11,182,878 | (4,308,837) |
| 31 დეკემბერი                                                                                             | 53,052,450 | 41,754,960  |

კომპანიის საინვესტიციო ქონება შედგება მიწისა და შენობისაგან შესაბამისი აღჭურვილობის ჩათვლით, რომელიც მდებარეობს ნინოშვილის ქ. #11-ში, ბათუმი, საქართველო. მიწის ფართობია 5,718 კვ.მ., ხოლო შენობის საერთო ფართობი 14,766.31 კვ.მ. შენობა მოიცავს სასტუმროს, კაზინოს, რესტორანს, ღამის კლუბს, სპას და სხვა ფართებს კომერციული გამოყენებისთვის.

### (ii) შემოსავალსა და ხარჯებში აღიარებული თანხები

იხილეთ შენიშვნა 13 საინვესტიციო ქონების გაქირავებით მიღებულ საიჯარო შემოსავლებთან დაკავშირებით.

საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული პირდაპირი საექსპლუატაციო (რემონტის) ხარჯები, რომლიდანაც საიჯარო შემოსავალი იქნა მიღებული პერიოდის განმავლობაში შეადგენს 82,144 ლარს (ნული ლარი 2018 წელს).

### (iii) შეზღუდვები და ვალდებულებები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას ეკრძალებოდა უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა მიმდინარე სასამართლო დავებთან დაკავშირებით (ერთ-ერთი სასამართლო დავა კვლავ მიმდინარეობს, რომლისთვისაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება თუმცა ჯერ არ მომხდარა კომპანიის მხრიდან თანხის დაფარვა, ვალდებულება მოცემულია მე-11 შენიშვნაში). ამასთანავე, არსებობდა ყადაღა მოძრავ ქონებაზე სხვა სასამართლო დავასთან დაკავშირებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დეტალები მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

კომპანიას არ ჰქონია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები საინვესტიციო ქონების შესყიდვაზე, მშენებლობაზე ან გაუმჯობესებაზე 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

### (iv) რეალური ღირებულებით შეფასება

საინვესტიციო ქონების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა შემოსავლების მეთოდი (დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი) დამოუკიდებელი და კვალიფიციური შემფასებლის მიერ, რომელსაც აქვს საინვესტიციო ქონებების შეფასების ბოლოდროინდელი გამოცდილება იმ ლოკაციაზე, სადაც კომპანია ფლობს საინვესტიციო ქონებას.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების კორექტირება არ მომხდარა ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 დონით არის შეფასებული.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებით შეფასებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები მოცემულია ქვემოთ:

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება მოხდა აშშ დოლარში ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ექსპლიან ფინანსურ ბიუჯეტზე და ფაქტობრივ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული პროგნოზების საფუძველზე.
- დისკონტირების პროცენტი გადასახადების ჩათვლით განისაზღვრა 2017 - 10.74%-ით, 2018 - 11,61% და 2018 - 8,72%-ით, საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით;
- ტერმინალური პერიოდის ზრდის ტემპი განისაზღვრა აშშ დოლარში გრძელვადიანი ინფლაციის მაჩვენებლით, 2017 - 2,44%, 2018 - 1.81% და 2019 - 0,62%-ით;

რეალური ღირებულებით შეფასება ეფუძნება საინვესტიციო ქონების უმაღლეს და საუკეთესო გამოყენებას, რომელიც განსხვავდება კომპანიის მიერ მისი ფაქტიური გამოყენებისგან, ვინაიდან კომპანია აქირავებს ქონებას და თავად არ ოპერირებს.

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                                                                                                            | 31 დეკემბერი<br>2019 | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018 |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| ფინანსური აქტივები, გარდა ფულის და ფულის ექვივალენტებისა და გაცემული სესხებისა, კლასიფიცირებული ამორტიზირებული ღირებულებით |                      |                      |                   |
| სავაჭრო მოთხოვნები                                                                                                         | 1,352,171            | 1,000,366            | 490,337           |
| სხვა მოთხოვნები                                                                                                            | 2,107                | 95,527               | 437,885           |
| საექვო ვალების რეზერვი                                                                                                     | (559,890)            | (516,771)            | (649,552)         |
|                                                                                                                            | <b>794,388</b>       | <b>579,122</b>       | <b>278,670</b>    |

კომპანიის მოთხოვნები არ არის ჩადებული რაიმე სახის უზრუნველყოფაში. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში. ფინანსური მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

კომპანია აჯგუფებს დებიტორებს და მათ ნაწილს ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილის შეფასება ხდება კოლექტიურად.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასდა და მიმოქცევის მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდა 515,991 ლარის, 494,027 ლარისა და 633,235 ლარის მოთხოვნებისთვის მათი ღირებულების 100%-ით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამოწვევის ფასს 9-ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებელზე.

მიმოქცევის მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი იმ მოთხოვნებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია კოლექტიურად მოცემულია ქვემოთ:

|                                 | მიმდინარე | 1-30<br>დღემდე | 31-90<br>დღემდე | 91-180<br>დღემდე | სულ            |
|---------------------------------|-----------|----------------|-----------------|------------------|----------------|
| მოსალოდნელი ზარალების განაკვეთი | 1.00%     | 5.00%          | 10.00%          | 25.00%           |                |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>        |           |                |                 |                  |                |
| საბალანსო ღირებულება            | 305,586   | 248,546        | 284,155         | -                | <b>838,287</b> |
| გაუფასურების რეზერვი            | 3,056     | 12,427         | 28,416          | -                | <b>43,899</b>  |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>        |           |                |                 |                  |                |
| საბალანსო ღირებულება            | 303,155   | 203,184        | 95,527          | -                | <b>601,866</b> |
| გაუფასურების რეზერვი            | 3,032     | 10,159         | 9,553           | -                | <b>22,744</b>  |
| <b>1 იანვარი 2018</b>           |           |                |                 |                  |                |
| საბალანსო ღირებულება            | 2,227     | 284,477        | -               | 8,283            | <b>294,987</b> |
| გაუფასურების რეზერვი            | 22        | 14,224         | -               | 2,071            | <b>16,317</b>  |

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                      | სავაჭრო და სხვა მოთხოვნები |                  | გაცემული სესხები |
|--------------------------------------|----------------------------|------------------|------------------|
|                                      | 2019                       | 2018             | 2019             |
| <b>1 იანვარი</b>                     | <b>516,771</b>             | <b>649,552</b>   | -                |
| რეზერვის ზრდა                        | 65,862                     | 321,146          | 19,189           |
| გამოუყენებელი რეზერვის ამობრუნება    | (22,743)                   | (453,927)        | -                |
| წლის გაუფასურების ხარჯი (ამობრუნება) | <b>43,119</b>              | <b>(132,781)</b> | <b>19,189</b>    |
| <b>31 დეკემბერი</b>                  | <b>559,890</b>             | <b>516,771</b>   | <b>19,189</b>    |

## სს მეტრო ინტურისტ ბათუმი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის  
(ლარში)

#### 7. გაცემული სესხები

|                        | ვალუტა | %   | 31 დეკემბერი 2019 |
|------------------------|--------|-----|-------------------|
| მფლობელი               | ლარი   | 11% | 1,918,945         |
| საექვო ვალების რეზერვი |        |     | (19,189)          |
|                        |        |     | <b>1,899,756</b>  |

გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხების საკრედიტო რისკი მათი საწყისი აღიარებიდან მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, ვინაიდან მათი გაცემა მოხდა წლის ბოლოს.

გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის ცვლილება წარმოდგენილია მე-6 შენიშვნაში.

#### 8. ფული და ფულის ეკვივალენტები

|               | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018 |
|---------------|-------------------|-------------------|----------------|
| ფული სალაროში | 57                | 411               | 1,593          |
| ფული ბანკში   | 12,010            | 6,451             | 64,440         |
|               | <b>12,067</b>     | <b>6,862</b>      | <b>66,033</b>  |

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

#### 9. სააქციო კაპიტალი

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე 2018 წლის 1 იანვრისთვის კომპანიას ჰქონდა გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული 20,000,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია ნომინალური ღირებულებით ერთი ლარი.

#### 10. მიღებული სესხები

|          | ვალუტა | %     | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018   |
|----------|--------|-------|-------------------|-------------------|------------------|
| მფლობელი | დოლარი | 8-12% | -                 | 1,059,563         | 4,703,269        |
| მფლობელი | ლარი   | 11%   | -                 | 1,391,836         | 61,717           |
|          |        |       | <b>-</b>          | <b>2,451,399</b>  | <b>4,764,986</b> |

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                      | 2019               | 2018               |
|--------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>1 იანვარი</b>                     | <b>(2,451,399)</b> | <b>(4,764,986)</b> |
| <b>ფულადი მუხლები</b>                |                    |                    |
| მიღებული სესხების ზრდა               | -                  | (1,011,150)        |
| გადახდილი ძირი                       | 1,983,943          | 3,882,636          |
| გადახდილი პროცენტი                   | 668,125            | -                  |
|                                      | <b>2,652,068</b>   | <b>2,871,486</b>   |
| <b>არაფულადი მუხლები</b>             |                    |                    |
| რეკლასიფიკაცია სხვა ვალდებულებებიდან | -                  | (266,266)          |
| საპროცენტო ხარჯი                     | (115,441)          | (333,793)          |
| საკურსო სხვაობის ეფექტი              | (85,228)           | 42,160             |
|                                      | <b>(200,669)</b>   | <b>(557,899)</b>   |
| <b>31 დეკემბერი</b>                  | <b>-</b>           | <b>(2,451,399)</b> |

**11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                                             | 31 დეკემბერი<br>2019 | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018 |
|---------------------------------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>              |                      |                      |                   |
| ვალდებულებები წაგებული სასამართლო დავებიდან | -                    | -                    | 1,551,292         |
| სავაჭრო ვალდებულებები                       | 121,054              | 42,649               | 41,217            |
| ხელფასები                                   | 902                  | -                    | 3,100             |
| სხვა                                        | 65,626               | 40,773               | 317,624           |
|                                             | <b>187,582</b>       | <b>83,422</b>        | <b>1,913,233</b>  |

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური ვალდებულებები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით უტოლდება რეალურ ღირებულებას.

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

**12. ანარიცხები**

|                                | 31 დეკემბერი<br>2019 | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018 |
|--------------------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| <b>ანარიცხი დაკავშირებული:</b> |                      |                      |                   |
| გადასახადებთან                 | 818,708              | 655,704              | 476,134           |
| სასამართლო დავებთან            | 772,353              | 721,228              | 698,647           |
|                                | <b>1,591,061</b>     | <b>1,376,932</b>     | <b>1,174,781</b>  |

ანარიცხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                       | 2019           |                      | 2018           |                      |
|-------------------------------------------------------|----------------|----------------------|----------------|----------------------|
|                                                       | გადასახადები   | სასამართლო<br>დავები | გადასახადები   | სასამართლო<br>დავები |
| <b>1 იანვარი</b>                                      | <b>655,704</b> | <b>721,228</b>       | <b>476,134</b> | <b>698,647</b>       |
| <b>წარდგენილი მოგება ან ზარალის<br/>ანგარიშგებაში</b> |                |                      |                |                      |
| ზრდა                                                  | 163,004        | 51,125               | 179,571        | 22,580               |
| <b>31 დეკემბერი</b>                                   | <b>818,708</b> | <b>772,353</b>       | <b>655,705</b> | <b>721,227</b>       |

კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო დავა, რომელიც დაიწყო 2018 წლის 1 იანვრამდე. ანარიცხებში წარმოდგენილი თანხა წარმოადგენს დირექტორების საუკეთესო შეფასებას კომპანიის მოსაღწევი ვალდებულების შესახებ იურისტებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული დავის გამო კომპანიას აკრძალული აქვს უძრავი ქონების გაყიდვა.

ეკონომიკური სარგებლის გასვლის მიახლოებითი დრო არის პერიოდი ერთი წლის განმავლობაში, ვინაიდან სასამართლოს მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, რომელიც კომპანიამ გაასაჩივრა. განუსაზღვრელობა დაკავშირებულია იმასთან მოახერხებს თუ არა კომპანია წარმატებით დაიცვას თავისი პოზიცია.

**შეფასებები და დაშვებები**

კომპანია მიმოიხილავს მიმდინარე სასამართლო დავებს და მათ განვითარებას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იმისთვის, რომ შეაფასოს ანარიცხისა და განმარტებების აუცილებლობა ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს გამოყენებული ფაქტორები მოიცავს: სასამართლო დავის ხასიათს, პრეტენზიებსა და შეფასებებს, სასამართლო პროცესებსა და ზიანის პოტენციურ დონეს იმ იურისდიქციაში, სადაც მიმდინარეობს დავა, სასამართლო დავის განვითარებას (მათ შორის განვითარება ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე), იურიდიულ საკითხებში მრჩეველთა მოსაზრებებსა და შეხედულებებს, გამოცდილებას მსგავს სასამართლო დავებზე და კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებას თუ როგორ წარმართავს თავის პოზიციას სასამართლო დავებში.

## 12. ანარიცხები (გაგრძელება)

კომპანიამ ასევე შეაფასა საგადასახადო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ეფექტები და საგადასახადო კოდექსის მიხედვით დათვალა იმ ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი გასვლის თანხები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომლებიც მოცემულია ცხრილში ზემოთ.

## 13. საიჯარო შემოსავალი

2019 წლის განმავლობაში 4,896,056 ლარი (2018: 4,627,742 ლარი) აღიარდა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც საინვესტიციო ქონების გაქირავებით მიღებული საიჯარო შემოსავალი. დარჩენილი 72,636 ლარი 2018 წელს უკავშირდება კომპანიის ბრენდის სახელის - „ინტურისტ პალასის“ გამოყენებას სასტუმროს მოიჯარის მიერ, რომელიც აღრიცხულია ფასს 15-ის მიხედვით. კომპანიამ აღიარა ამონაგები დროთა განმავლობაში კონტრაქტის ვადის - 12 თვის განმავლობაში, როდესაც ასრულებდა თავის შესასრულებელ ვალდებულებებს.

კომპანია, ზოგადად, აფორმებს მოიჯარეებთან ერთწლიან ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებების ძირითად ნაწილში განსაზღვრულია ფიქსირებული ანაზღაურება შეთანხმებული გადახდის ვადების მიხედვით და არის ასევე ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვით გადასახდელი თანხა დაკავშირებულია მოიჯარის ბრუნვასთან. 2018 წელს კომპანიამ გაუკეთა ფასდაკლება ერთ-ერთ მოიჯარეს (შპს ლიბერთი ოტელ) 2,085,679 ლარის ღირებულებით. ფასდაკლების პირობები და დაშვებები დაკავშირებული იყო მოიჯარის კონკრეტული ბრუნვის ნიშნულთან. მენეჯმენტმა იმსჯელა ტრანზაქციის შესახებ და გამოიყენა ფასს 15-ის გ5(ბ) პარაგრაფი, დაშვებული ფასს 1-ის დ34 პარაგრაფით, ვინაიდან ამგვარი აღრიცხვა შეფასდა, როგორც ყველაზე საიმედო და შესაბამისი მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებებისთვის. შედეგად, ოპერაცია აღირიცხა, როგორც ფადსაკლება და ირიცხებოდა ყოველთვიურად, როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება.

ცვლებადმა შემოსავალმა, რომელიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, შეადგინა 27,362 ლარი და 1,855,733 ლარი შესაბამისად 2019 და 2018 წლებისთვის.

საიჯარო გადასახდელები, რომელსაც კომპანია მიიღებს მომავალ პერიოდებში 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული კონტრაქტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

|                         | 31 დეკემბერი<br>2019 | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018 |
|-------------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| 1 წლის განმავლობაში     | 1,286,321            | 2,517,025            | 3,007,131         |
| 1-დან 5 წლამდე პერიოდში | 37,979               | 134,616              | 196,792           |
|                         | <b>1,324,300</b>     | <b>2,651,641</b>     | <b>3,203,923</b>  |

## ინფორმაცია საოპერაციო სეგმენტების შესახებ

კომპანიას აქვს მხოლოდ ერთი საანგარიშგებო სეგმენტი, რომელიც ოპერირებს მხოლოდ საქართველოში და იღებს შემოსავალს მხოლოდ გარე მომხმარებლებისგან (მათ შორის დაკავშირებული მხარეებისგან). კომპანიის მნიშვნელოვან მომხმარებლებებს, რომელთაგან მიღებული საიჯარო შემოსავალი აჭარბებს კომპანიის მთლიანი საიჯარო შემოსავლის 10%-ს, წარმოადგენენ სასტუმროსა და კაზინოს მოიჯარეები.

## 14. სხვა შემოსავალი

|                                       | 2019          | 2018           |
|---------------------------------------|---------------|----------------|
| შემოსავალი ღამის კლუბის ოპერირებიდან* | -             | 148,759        |
| სხვა                                  | 44,776        | 19,741         |
|                                       | <b>44,776</b> | <b>168,500</b> |

\*კომპანია ოპერირებდა ღამის კლუბს სამი თვით 2017 წლის 1 დეკემბრიდან 2018 წლის 28 თებერვლამდე მანამ, სანამ გააფორმებდა ხელშეკრულება ახალ მოიჯარესთან. ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ წარმოადგენს კომპანიის ძირითადი შემოსავლის მიღების წყაროს, კომპანიამ აღნიშნული შემოსავალი წარადგენილია სხვა შემოსავლებში.

სს მეტრო ინტურისტ ბათუმი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

|                                                    | 2019             | 2018             |
|----------------------------------------------------|------------------|------------------|
| გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა           | (112,897)        | (130,354)        |
| მიმდინარე რემონტი                                  | (82,144)         | -                |
| ჯარიმები და სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯები   | (20,684)         | (3,126)          |
| კომუნალურები                                       | (16,180)         | (15,998)         |
| მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები | (13,627)         | (13,627)         |
| საკონსულტაციო და პროფესიონალური მომსახურება        | (9,585)          | -                |
| ცვეთა                                              | (5,337)          | (9,032)          |
| იჯარა                                              | -                | (17,796)         |
| ხელფასები                                          | (9,588)          | (9,000)          |
| სხვა                                               | (7,823)          | (2,177)          |
|                                                    | <b>(277,865)</b> | <b>(201,110)</b> |
| ლამის კლუბის ოპერირებასთან დაკავშირებული ხარჯები   |                  |                  |
| ხელფასები                                          | -                | (40,953)         |
| გაყიდული მარაგის თვითღირებულება                    | -                | (24,394)         |
| დაცვა                                              | -                | (12,203)         |
| სხვა                                               | -                | (5,414)          |
|                                                    | <b>-</b>         | <b>(82,964)</b>  |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b>                 | <b>(277,865)</b> | <b>(284,074)</b> |

16. არასაოპერაციო შემოსავალი

|                                    | 2018           |
|------------------------------------|----------------|
| ვალის პატივით მიღებული შემოსავალი* | 146,044        |
| სხვა                               | 2,096          |
|                                    | <b>148,140</b> |

\*კომპანიამ წააგო სასამართლო დავა ერთ-ერთ მომწოდებელთან 2017 წელს, რაც წარდგენილია როგორც ვალდებულება წაგებული სასამართლო დავებიდან (შენიშვნა 11). მხარეებმა აწარმოეს მოლაპარაკებები და მომწოდებელმა აპატია მას 146,044 ლარი. კომპანიამ დაფარა დანარჩენი ვალდებულება.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                           | 31 დეკემბერი 2019 |                       | 31 დეკემბერი 2018 |                       | 1 იანვარი 2018 |                       |
|-------------------------------------------|-------------------|-----------------------|-------------------|-----------------------|----------------|-----------------------|
|                                           | მფლობელი          | საერთო კონტროლის ქვეშ | მფლობელი          | საერთო კონტროლის ქვეშ | მფლობელი       | საერთო კონტროლის ქვეშ |
| <b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b> |                   |                       |                   |                       |                |                       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | -                 | 707,525               | -                 | 584,837               | -              | 4,684                 |
| გაცემული სესხები                          | 1,918,945         | -                     | -                 | -                     | -              | -                     |
| მიღებული სესხები                          | -                 | -                     | 2,451,399         | -                     | 4,764,986      | -                     |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | -                 | 55,627                | 1,340             | 39,434                | 500            | 317,389               |
| საინვესტიციო ქონების შესყიდვა             | -                 | 114,612               | -                 | 25,002                | -              | -                     |

**17. ოპერაციების დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

|                                          | 2019                |                             | 2018                |                             |
|------------------------------------------|---------------------|-----------------------------|---------------------|-----------------------------|
|                                          | მშობელი<br>კომპანია | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ | მშობელი<br>კომპანია | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ |
| <b>სრული შემოსავლის ანგარიშგება</b>      |                     |                             |                     |                             |
| საიჯარო შემოსავალი                       | -                   | 4,032,400                   | -                   | 738,365                     |
| სხვა შემოსავალი                          | -                   | 74,274                      | -                   | 10,775                      |
| საპროცენტო შემოსავალი                    | 47,075              | -                           | -                   | -                           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                  | (13,627)            | (83,531)                    | (13,627)            | (24,099)                    |
| საექვო ვალების გაუფასურების ხარჯი        | (19,189)            | (39,868)                    | -                   | (22,304)                    |
| საპროცენტო ხარჯები                       | (115,441)           | -                           | (333,793)           | -                           |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, ნეტი | -                   | -                           | 42,160              | -                           |

**18. პირობითი ვალდებულებები**

**სასამართლო დავები**

კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო დავა, რომელიც დაიწყო 2018 წელს მხარესთან, რომელიც კომპანიისთვის წარმოადგენდა ქვე-მოიჯარეს. მხარე აცხადებს, რომ შეიძინა ქონება 77,017 ლარის ღირებულებით სხვა ქვე-მოიჯარისგან, რომელსაც მანამდე ჰქონდა ფართი ნაქირავები და საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ითხოვდა კომპანიისგან აღნიშნული ქონების გადაცემას. კომპანია არ გადასცემს მომჩივანს აქტივებს და იცავს საკუთარ პოზიციას სასამართლოში. გაურკვეველია მოხდება თუ არა სასამართლო საქმის დასრულება 2020 წლის ბოლომდე. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო კომპანიას ცნობს დამნაშავედ (ანგარიშვალდებულად), დირექტორების შეფასებით არ არის მოსალოდნელი რომ კომპენსაციის თანხამ გადააჭარბოს 82,000 ლარს (მომჩივანის მიერ მოთხოვნილი თანხისა და დამატებითი სასამართლო და ბაჟის ხარჯების ჯამი). დირექტორები აღნიშნავენ, რომ თუ დადგება კომპანიისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება, კომპანიას არ შეუძლია ზარალის ანაზღაურება მოთხოვოს სხვა მხარეს.

**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში ანარიცხის შექმნა არ ხდება.

2018 წელს კომპანიამ გაუკეთა ფასდაკლება ერთ-ერთ მოიჯარეს (შპს ლიბერთი ოტელ) 2,085,679 ლარის ღირებულებით. ფასდაკლების პირობები და დაშვებები დაკავშირებული იყო მოიჯარის კონკრეტული ბრუნვის ნიშნულთან. შესაძლოა მარეგულირებელმა ორგანომ აღნიშნული ტრანზაქცია მიიჩნოს დასაბეგრ ოპერაციად. ძირითადი გადასახადის თანხა აღნიშნულისთვის იქნება 686,215 ლარი.

კომპანია ვერ აფასებს ზემოაღნიშნულ ტრანზაქციასა და მე-12 შენიშვნაში ასახულ ანარიცხებთან დაკავშირებით ჯარიმა-საურავების ალბათობას.

## 19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

### არამაკორექტირებელი მოვლენები

- ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონა ვირუსი) გამო.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსი მსოფლიო მასშტაბით სწრაფად გავრცელების გამო პანდემიად გამოაცხადა. ვირუსის გავლენა ინდუსტრიების მიხედვით შესაძლოა განსხვავდებოდეს, თუმცა იგი ყველა სექტორში არსებულ კომპანიებზე მოახდენს გავლენას შემდეგი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო;
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე;
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით;
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებთან დაკავშირებით კომპანიამ 2020 წლის მარტში შეწყვიტა იჯარის ხელშეკრულებების კაზინოს, ღამის კლუბისა და რესტორნის იჯარაზე, რომელთაც ჰქონდათ სხვადასხვა ვადა და სრულდებოდა 2020 წელს. მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან მოიჯარესთან არსებული კონტრაქტი არის მიმდინარე. აღნიშნული წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს, რომელსაც იჯარით აქვს აღებული სასტუმრო. მოიჯარესთან კონტრაქტი გაფორმდა 2020 წლის იანვარში და ცვლილება შევიდა 2020 წლის აპრილში. კონტრაქტის ვადაა 2020 წლის 31 დეკემბერი. ამ ხელშეკრულების მიხედვით კომპანია გამოიმუშაებს და მიიღებს საიჯარო შემოსავალს 819,000 დოლარის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულებიდან მიღებული შემოსავალი აკომპენსირებს 2020 წლის ხარჯებს.

- კომპანიას დაუფარეს 302,822 ლარის გაცემული სესხები და დამატებით მოხდა დაკავშირებულ მხარეებზე სესხის გაცემა 214,951 ლარის ოდენობით, დაფარვის თარიღია 2021 წლის აპრილი. კომპანიამ გააფორმა სამმხრივი ხელშეკრულება 2020 წლის აგვისტოსა და სექტემბერში მშობელ კომპანიასა და დაკავშირებულ მხარესთან (სასტუმროს მოიჯარე), რომლის მიხედვით კომპანიის მოთხოვნა მოიჯარის მიმართ 904,077 ლარის ოდენობით რეკლასიფიცირდა, როგორც გაცემული სესხი მშობელ კომპანიაზე და დაიფარება 12 თვის ვადაში 11%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

## 20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

### უცხოური უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. ანგარიშსწორებისა და წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშების დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლო კურსით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად აქტივებს.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადაყვანისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|            | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018 |
|------------|-------------------|-------------------|----------------|
| აშშ დოლარი | 2.8677            | 2.6766            | 2.5922         |

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან ამორტიზებული ღირებულებით აქტივის შესყიდვის/ფლობის მიზნიდან გამომდინარე. კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივები კლასიფიცირებული რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

#### ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების ზარალები სავაჭრო მოთხოვნებისთვის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9-ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის მიმოქცევის მთელი ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები.

გაუფასურების რეზერვი დაკავშირებულ მხარეებთან არსებული მოთხოვნებისა და გაცემული სესხებისთვის აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. რეზერვის დასადგენად გამოიყენება მეთოდოლოგია, რომელიც აფასებს რამდენად მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკის ზრდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იმ შემთხვევაში თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებიდან ხდება 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება პროცენტის მთლიან თანხაზე დარიცხვით. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ხდება მიმოქცევის მთელი ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება პროცენტის მთლიან თანხაზე დარიცხვით. იმ შემთხვევაში თუ აქტივი გაუფასურებულია, მიმოქცევის მთელი ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარდება პროცენტის ნეტ თანხაზე დარიცხვით.

კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

## 20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

### სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და მიღებული სესხის სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, თუმცა არა ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობაში გაყიდვის, საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

კომპანია საინვესტიციო ქონებას საწყისად აღიარებს თვითღირებულებით. შედგომი აღრიცხვისთვის იყენებს გადაფასების მოდელს. საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება ყოველწლიურად და სხვაობა წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

### საიჯარო შემოსავალი

როდესაც კომპანია არის მეიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი საოპერაციო ხასიათიდან გამომდინარე. ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ხარჯები ჩაირთვება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში და აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში, საიჯარო შემოსავლის შესაბამისად. საიჯარო შემოსავალი აღიარდება შემოსავლად იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც ის იქნა გამომუშავებული.

## 20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად აღიარებულ შემოსავლებთან.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### დაბეგვრა

#### მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

#### გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

### სააქციო კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებენ ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების განმარტებას. კომპანიის ჩვეულებრივი აქცია კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტი.

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გაიანგარიშება საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის განკუთვნილი მოგების გაყოფით მოცემულ პერიოდში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობაზე. გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე ტოლი იყო საბაზისო შემოსავლისა ერთ აქციაზე 2019 და 2018 წლებში.

#### საანგარიშგებო პერიოდის შედგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## 20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი შინაარსი.

### ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა.

ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

პირობითი ვალდებულება არის:

ა) შესაძლო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან

ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:

- მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; ან
- ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. ინფორმაცია პირობითი ვალდებულების შესახებ გაშიფრულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში.